გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 64

2025 წლის 13 მაისი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ,, მერიის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდანაციის განყოფილების“ მიერ 2024 წლის მაისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ,, მერიის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდანაციის განყოფილების“ მიერ 2024 წლის მაისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ,,მერიის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდანაციის განყოფილების“ მიერ 2024 წლის მაისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, "მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების" მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (2024 წლის მაისიდან - 2025 წლის მიმდინარე პერიოდი)

მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ჩამოყალიბება განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N20 დადგენილებით გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შეტანილი ცვლილებით ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შეიქმნა „მერის წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება", რომელის შემადგენლობაშიც გათვალისწინებული იყო ერთი შტატი - განყოფილების უფროსი და 65 - შტატი მერის წარმომადგენლების ასისტენტი, მათ შორის: 26 – IY რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო 560 ლარი; 12 - IY რანგის II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო 540 ლარი და 27 - IY რანგის III კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო 520 ლარი.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მერის წარმომადგენლებს მიენიჭათ III რანგის I კატეგორიის პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 თებერვლის N 10 დადგენილებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შეტანილი ცვლილებით განყოფილებას ეწოდა „მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება" და მის შემადგენლობაში შემოყვანილ იქნა 33 მერის წარმომადგენელი, თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი. განყოფილებას დაემატა აგრეთვე ორი III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი, თანამდებობრივი სარგო 900 ლარი. ამ დადგენილებითვე მერის წარმომადგენლების ასისტენტებს გაეზარდათ თანამდებობრივი სარგოები და შესაბამისად შეადგინა: IY რანგის I კატეგორია - 700 ლარი, ხოლო IY რანგის II კატეგორია და IY რანგის III კატეგორია - 650 ლარი.

2020წლის 21 თებერვლიდან, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" შეტანილი ცვლილებების შედეგად, მერის წარმომადგენლები და ასისტენტები ითვლებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად და ამდენად, ისინი აღარ არიან განყოფილების შემადგენლობაში. განყოფილების შტატები განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების ხელმძღვანელი - 1; III რანგის, I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1; IV რანგის, III კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 1.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის N12 დადგენილებით განყოფილებას დამატებით დაემატა ისეთი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა: მოქალაქის საზღვრის პირას მდებარე დასახლებულ პუნქტში ცხოვრების, ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის, პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტიური ცხოვრების, მამკვიდრებლის უძრავი ქონების ფლობის შესახებ მერის მიერ გასაცემი ცნობების პროექტების შემუშავება, მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. ჩვენს მიერ მზადდება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის სააგენტოდან შემოსულ წერილებზე პასუხების პროექტები. ჩვენს მიერ კეთდება ასევე, შაწვავი შეშით დახმარების ბენეფიციართა სიები, რომელიც ეგზავნება კეთილმოწყობის სააგენტოს შემდეგი რეაგირებისათვის, რის შემდეგადაც ყველა ბენეფიციარს პერსონალურად ეგზავნება პასუხი.

განვლილ პერიოდში განყოყილების თანამშრომლების მიერ გაწეულია მნიშვნელოვანი სამუშაო, როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ კორესპონდეციის შესწავლის და მათზე დროული რეაგირების მიმართულებით, ასევე მერიის ხელმძღვანელობის და ზემდგომი სამსახურებიდან მიღებული დავალებების შესრულების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში სულ განყოფილებაში შემოსულია და შესაბამისი რეაგირებაა მოხდენილი, ან ადრესატებზეა გადაწერილი დაახლოებით 8466 ერთეული წერილი, განცხადება და სხვა სახის კორესპონდენცია, მათ შორის ძირითადი რაოდენობა არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან შემოსული განცხადებები, რითიც ძირითადად ითხოვენ: ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან და შუამდგომლობას, „სოკარ ჯორჯია გაზთან" ბუნებრივი აირის შეყვანის თაობაზე, „ეპ ჯორჯია მიწოდებასთან" ელექტრო ენერგიის შეყვანის თაობაზე, წყალმომარაგების კომპანიასთან სასმელი წყლის შეყვანის თაობაზე; საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში ფაქტიურად ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან, ხე-ტყის ადგილწარმოშობის, მამკვიდრებლის კუთვნილი ქონების დაუფლების ფაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვა. ხოლო რაც შეეხება შემოსულ წერილებს, მათი ძირითადი რაოდენობა მოდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან შემოსულ წერილებზე, რითიც ძირითადად გვაწოდებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის სახვადასხვა სოფლებში და ქალაქ გორში დაგეგმილ, მოსახლეობისთვის დასარეგისტრილებელ მიწის ნაკვეთების დათვალიერების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ განყოფილებას ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა აქვს საჯარო რეესტრის იმ სამსახურის წარმომადგენლებთან, რომლებიც ამ ეტაპზე მუშაობენ ჩვენს მუნიციპალიტეტში, მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმართულებით

განყოფილების მიერ, კოორდინაცია უკეთდება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე, საშეშე მერქნის დახმარების მიღების მსურველ ბენეფიციართა ფაქტიური მდგომარეობის შესწავლას და დაზუსტებული სიების შედგენას, რომლებიც შემდგომ გადაეგზავნება „კეთილმოწყობის სააგენტოს“ შესაძლო დახმარების გაწევის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის, 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად, 2025 წლისათვის გორის მუნიციპალიტეტის 112 დასახლებულ პუნქტზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი იქნა 1 596 000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით განყოფილების მიერ, გორის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში, რომელზეც გამოყოფილი იყო თანხა, კოორდინაცია გაუკეთდა ადგილობრივ მოსახლეობასთან გასამართ შეხვედრებს ჩვენს მიერ წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. გაიმართა კონსულტაცია(48 სოფელი) ან დასახლების საერთო კრება(64 სოფელი). მოსახლეობასთან კონსულტაციები და დასახლების საერთო კრებები ჩატარდა ჩვენი განყოფილების ორგანიზებით და არცერთ შეხვედრაზე, რაიმე სახის ხარვეზს ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულ კონსულტაციებზე და კრებებზე, მოსახლეობის უმრავლესობის აზრის და სურვილის გათვალისწინებით შერჩეული იქნა ყველა სოფელში განსახორციელებელი პროექტი, რომლებიც ჩვენს მიერ შეტანილია შესაბამის ოქმებში და გადაცემულია კომპეტენტურ სამსახურებზე შემდგომი რეაგირებისათვის.

განყოფილების მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული, ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციის მიმართულებით, გორის დღეების და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების წარმატებით ჩატარების მიზნით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხრიდან, ცნობების მიღების, თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, განყოფილების სპეციალისტების მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადებულია: საოკუპაციო გამყოფ ხაზთან ფაქტობრივი ცხოვრების შესახებ, გორის მუნიციპალიტეტში კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების შესახებ, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მამკვიდრებლის კუთვნილი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, ხე-ტყის ადგილწარმოშობის შესახებ, ცნობების პროექტები, სულ - 1324 ერთეული.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილება წარმატებით ართმევს თავს ისეთი დავალებების შესრულებას, როგორიცაა სრულიად მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სხვადასხვა სამსახურებიდან მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და სისტემაში მოყვანა.

წარმატებით გადავიდა ჩვენი განყოფილება მუშაობის ელექტრონული სისტემის ახალ პროგრამაზე. განყოფილების თანამშრომლები ყოველგვარი შეფერხების და ხარვეზის გარეშე აგრძელებენ მუშაობას დასმული საკითხების და დავალებების შესრულების მიმართულებით.

განყოფილების ხელმძღვანელი: ღუტო თოდაძე

17.04.2025